აფხაზეთისავტონომიურირესპუბლიკა
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო



ანგარიში

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო სტრუქტურების მიერ 2023 წლის 3 თვეში გატარებული ღონისძიებების შესახებ

2023 წელი

სარჩევი

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო 3

1.1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი 3

ცხრილი 1 2023 წლის I კვარტალში აფხაზეთის ა/რ რესპუვლიკური ბიუეჯტის ფაქტიური შემოსულობები გადასახადების სახეების მიხედვით..... 3

დიაგრამა 1 რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების საერთო მოცულობაში შემოსავლების ხვედრითი წილები სახეების მიხედვით. 2023/I კვ. 3

დიაგრამა 2 რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების შედარება 2023/Iკვ-2022/Iკვ..... 3

1.2. აფხაზეთის ქონების განკარგვა და საწარმოთა მართვა 5

1.3. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების 2022 წლის ფინანსური შედეგების (მოგება-ზარალის) ანალიზი 8

1.4. სსიპ„პროგრამებისადასერვისებისსააგენტო“..... 8

1.5. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა12

1.6. ა(ა)იპ ,,საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის“..... 13

1.7. სსიპ ,,აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სტაჟირების, კვალიფიკაციის ამაღლების და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი ბიზნესინკუბატორი“..... 15

2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯამრთელობისადასოციალურიდაცვისსამინისტრო 16

3. განათლების და კულტურის სამინისტრო..... 22

4. იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი 24

5. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამინისტრო..... 27

5.1. სსიპ „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მომსახურების სააგენტო“..... 32

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია 2023 წლის I კვარტლის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით და აფხაზეთის ა/რ სამინისტროების და უწყებებისგან

მიღებული მასალების საფუძველზე. ანგარიში განსახილველად წარედგინება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

საანგარიშო პერიოდშიაფხაზეთისავტონომიურირესპუბლიკისფინანსთადაეკონომიკისსამინისტროს საქმიანობისსფეროსგანეკუთვნებააფხაზეთისავტონომიურირესპუბლიკისსაფინანსოსის ტემისმართვა, საფინანსო-საბიუჯეტოპოლიტიკისრეგულირებისღონისძიებათაგანხორციელება, კომპეტენციისფარგლებშიეკონომიკურიპოლიტიკისშემუშავებადადარგობრივიეკონომიკისსფეროებისგანვითარებისხელშეწყობა, ქონების განკარგვა და საწარმოთა მართვა.

1.1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებმა 2023 წლის I კვარტალშიშეადგინა სულ 10 760,1 ათასი ლარი, რაც გეგმის (6 434,4ათასი ლარი) 167,2%-ია.

ცხრილი 12023 წლის I კვარტალში აფხაზეთის ა/რ რესპუვლიკური ბიუეჯტის ფაქტიური შემოსულობები გადასახადების სახეების მიხედვით

დასახელება	გეგმა. ათ.ლარი	ფაქტი ათ.ლარი	+/-ათ.ლარი	%
სულ	**6 434,4**	**10 760,1**	**4 325,6**	**167,2**
გადასახადები	2 815,7	3 561,7	746,0	126,5
გრანტები	3 492,2	7 000,0	3 507,8	200,4
სხვა შემოსავლები	126,5	198,4	71,8	156,8

ბიუჯეტის შევსების მთავარი წყაროებია ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი და საშემოსავლო გადასახადი, რომელთა ხვედრითი წილი შემოსავლების საერთო მოცულობაში 65,1 და 33,1 პროცენტს შეადგენს. შესაბამისად, აღნიშნული შემოსავლები ჯამში საერთო შემოსავლების 98,2 პროცენტია. დანარჩენ შემოსავლებზე მოდის 1,8 პროცენტი.

დიაგრამა 1რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების საერთო მოცულობაში შემოსავლების ხვედრითი წილები სახეების მიხედვით. 2023/I კვ.



დიაგრამა 2 რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების შედარება 2023/Iკვ-2022/Iკვ



2022 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით:

- შემოსულობები გაიზარდა 4 885,4 ათასი ლარით;
- საშემოსავლო გადასახადი გაიზარდა526,6 ათასი ლარით;
- ტრანსფერის მოცულობა გაიზარდა 4 250,0 ათასი ლარით;
- სხვა შემოსავლები გაიზარდა 109,8 ათასი ლარით.

2023 წლის I კვარტალში სამინისტროს ეკონომიკური მიმართულებით მუშაობისძირითად მიმართულებებს წარმოადგენდა:

- საქართველოს რეგიონებში განსახლებული დევნილებისათვის ინფორმაციის მიწოდება როგორც დონორი ორგანიზაციების, ასევე სამინისტროს მიერ გამოცხადებული პროგრამებისა და პროექტების გასაცნობად;
- დევნილ ბენეფიციართა კონსულტირება/დახმარება პროექტების წარსადგენი სააპლიკაციო ფორმების სწორად შედგენაში და შესაძლო დონორის მოძიებაში ხელშეწყობა;
- ურთიერთობა საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან დევნილი მოსახლეობის ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით;
- იგპ-თა ჩართულობის ხელშეწყობა საქართველოს მთავრობისა და სხვა ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამებში;
- დევნილთა და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ეკონომიკური სიტუაციის ანალიზი;
- სტატისტიკური აღრიცხვა;
- საინფორმაციო ანალიტიკური მასალების მომზადება.

2023 წლის I კვარტალში მომზადდა:

- საპროექტო წინადადება ,,აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სტიმულირება მცირე ბიზნესის განვითარებაში“, რომელიც ეხება სასტუმროების და რესტორნების ბიზნესების ხელშეწყობას მზის პანელების სისტემების დანერგვით;
- რეკომენდაციები საქართველოში ჩაის კულტურული მარშრუტის შექმნასთან დაკავშირებით;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოთხივნის შესაბამისად, ინფორმაცია აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე გარემოს

დაცვისა და ეკონომიკური დარგებში არსებული მდგომარეობის შესახებ, რომელიც წარედგინა საქართველოსგარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.

პროექტისათვის ,,შეფუთვის სერვისი საოჯახო წარმოების განვითარებისათვის" შესასყიდ ძირითად საშუალებათა შეძენის მიზნით, შედგა კომუნიკაცია სხვადასხვა მწარმოებელ და სავაჭრო ორგანიზაციებთან. ასევე, მიმდინარეობს მოკვლევა შესაფუთი მასალების შესარჩევად. ბაზრის კვლევა ამ მიმართულებებით გრძელდება.

დეპარტამენტი აქტიურად იყო ჩართული სსიპ „ეკონომიკური პროგრამების სააგენტოს" მიერ გამოცხადებული ეკონომიკურ პროგრამების სრულყოფის პროცესში. დეპარტამენტის 2 თანამშრომელი ჩართულია საკონკურსო კომისიის საქმიანობაში. დეპარტამენტის ერთი თანამშრომელი იყო ა(ა)იპ ,,საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის" მიერ პროექტის ,,დევნილთა ბიზნეს ინიციატივის მხარდაჭერა" გამოცხადებული ღია კონკურსის კომისიის წევრი.

გრძელდებოდა კონსულტაციები დევნილებთან ბიზნეს პროექტების მხარდაჭერის ჭრილში, მათი იმპლემენტაციის პროდუქტიული და პრაქტიკული გზების მოძიებაში. საქართველოს რეგიონებში განსახლებულ დევნილებს მუდმივად მიეწოდებოდათ ინფორმაცია როგორც დონორი ორგანიზაციების, ასევე სამინისტროს მიერ გამოცხადებული პროგრამებისა და პროექტების შესახებ. ეს საკითხი იქნა განხილული ასევე დეპარტამენტის უფროსის მოადგილის მიერ ქვემო ქართლის დევნილთა კოორდინაციის სამსახურის უფროსთან (დ. გოგლიძე) და ქართლის დევნილთა კოორდინაციის სამსახურის უფროსთან (პ. ლომიძე).

საანგარიშო პერიოდში ჯამში 40-ზე მეტ ბენეფიციარს გაეწია შესაბამისი კონსულტაცია და დახმარება სხვადასხვა მიმართულებით.

დეპარტამენტის შესაბამისი სამმართველო ჩართული იყო გარემოსდაცვითი მიმართულებით გამართულ შეხვედრებში.

საანგარიშო პერიოდში მიღებულ და დამუშავებულ იქნა აფხაზეთის საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და ბიზნეს საწარმოების ანგარიშები შრომის შესახებ. მომზადდა სტატისტიკური ანგარიშები (2022 წლის IV კვარტლის და წლიური ანგარიშები), რომლებიც წარედგინა საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს.

ასევე მომზადდა:

– აფხაზეთის ა/რ მთავრობის 100%-იანი წილით შექმნილი სამედიცინო დაწესებულებების (შპს) 2022 წლის IV კვარტლის სტატისტიკური ანგარიშები;
– 2022 წლის IV კვარტლის სტატისტიკური ბიულეტენი;
– ანგარიში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო სტრუქტურების მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ 2022 წელს.

დეპარტამენტის მიერ ყოველკვირეულად მზადდებოდა აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ანალიზი და დაიჯესტი. მიმდინარეობს მუშაობა ანალიტიკურ მასალაზე ,,რუსეთის ფედერაციის როლი დე-ფაქტო აფხაზეთის ეკონომიკაში". მომზადდა დე-ფაქტო აფხაზეთის 2022 წლის ბიუჯეტის ანალიზი. მინისტრის დავალებით გაკეთდა კ.პ. კურილევის სტატიის (2014 წელი) თარგმანი ,,უკრაინის ფაქტორი საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად: რეგიონალური და გლობალური დონეები".

1.2.აფხაზეთის ქონების განკარგვა და საწარმოთა მართვა

საანგარიშო პერიოდში სააგენტოს მიერ განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები:

სააგენტოს გადმოეცა: მოძრავი ქონება

სსიპ ეკონომიკური პროგრამების სააგენტოს მიერ -კონდიციონერი Vestel საბალანსო ღირებულებით 779 ლარი.

საანგარიშო პერიოდში სააგენტო ინტენსიურად მუშაობდა აფხაზეთის ა.რ. მთავრობის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიული პირების რეორგანიზაციაზე. სააგენტოში განხორციელდა აფხაზეთის ა.რ. მთავრობის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიული პირის შპს „აფხაზეთიდან იგპ ზუგდიდის პოლიკლინიკის“ რეორგანიზაცია შერწყმა/ მიერთების ფორმით. შპს „აფხაზეთიდან იგპ ზუგდიდის პოლიკლინიკას“ შეეცვალა საფირმო სახელწოდება, დაერქვა შპს „სამედიცინო ცენტრი „დიომედი აფხაზეთი“ და მიერთებული სამეწარმეო საზოგადოებები ჩამოყალიბდნენ შპს „სამედიცინო ცენტრი „დიომედი აფხაზეთის“ ფილიალებად, კერძოდ:

- შპს „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხობის პოლიკლინიკა“- *შპს „სამედიცინო ცენტრი „დიომედი აფხაზეთის“ ხობის ფილიალი“;*
- შპს „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ჯვარის ამბულატორია“ - *შპს „სამედიცინო ცენტრი „დიომედი აფხაზეთის“ ჯვარის ფილიალი“;*

სააგენტო ახორციელებდა სახელმწიფოს 100% წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების მართვას, მათი ხელშეწყობის მიზნით წლიური და კვარტალური ანგარიშების ანალიზისა და, ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე, წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებას საწარმოების მიერ მოთხოვნილი (რეინვესტირებული) თანხის მიზნობრივ გამოყენებაზე. ასევე, შესაბამისად გასული წლების საანგარიშო პერიოდთან მიმართებაში მათი გრაფიკულად ასახვა და ეკონომიკური პარამეტრების შედარება. ამასთანავე მოგება-ზარალის, შემოსავლების, საწარმოთა მიერ გაწეული ხარჯისა და სხვა მაჩვენებლების კლებისა თუ ზრდის პარამერტების ცვალებადობის მიზეზების განხილვა და ზუსტი განსაზღვრა;

შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა საწარმოთა 2022 წლის ფინანსური ანგარიშები; **(იხილეთ დანართი N1)**

მიღწეული შედეგები:

სააგენტომ წარმატებით დაასრულა *სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების რეორგანიზაციის პროცესი.*

- <u>„ოკუპირებულ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განთავსებული სახელმწიფო უძრავი ქონების საკადასტრო აღწერა“</u>

<u>3 თვის გეგმა გეგმა - 8.4 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 8.4 ათასი ლარი, რაც გეგმის შესრულების 100 %-ია.</u>

მიზანი - ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე განთავსებული სახელმწიფო უძრავი ქონების პირველადი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის მოძიება და შესაბამისი წესით სსიპ ,,საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაცია“

შედეგი - მოძიებულ იქნა აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე განთავსებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ 50 უძრავ ქონებაზე პირველადი სარეგისტრაციო დოკუმენტაცია (ესპლიკაცია, ორთო, ფოტო და სხვ.), ასევე ArcGis -ის პროგრამით პირველად მომზადდა საკადასტრო აზომვითი ნახაზი, დაახლოებით 24 ობიექტზე. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მაშტაბური და ასევე სტრატეგიული ობიექტების დამუშავება, ესენია: სოხუმის აეროპორტი და ბიჭვინთის სამთავრობო აგარაკი.

- **<u>_</u>სსიპ „აფხაზეთის ქონების განკარგვისა და საწარმოთა მართვის სააგენტო“- სმართვაში არსებული კერძო სამართლის იურიდიული პირების (შპს) მარკეტინგული მომსახურება“**
  <u>გეგმა- 8.55 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის შესრულების 94.44 %-ია.</u>

მიზანი - თანამედროვე და ინოვაციური მარკეტინგული სისტემის დანერგვა სსიპ „აფხაზეთის ქონების განკარგვისა და საწარმოთა მართვის სააგენტო“-ს მართვაში მყოფ კომპანიებში. ციფრული და ასევე ტრადიციული მარკეტინგის გამოყენებით ველოდებით პოლიკლინიკების კონკურენტუნარიანობის გაზრდას ადგილობრივ კერძო კომპანიებთან მიმართებაში, რომლებიც უკვე აქტიურად იყენებენ მსგავსი ტიპის მარკეტინგულ სტრატეგიებს.

შედეგი -პროგრამის ჯგუფმა 2023 წლის დასაწყისში შეიმუშავა კამპანია - სამედიცინო აქტივობების ციკლი #თქვენიჯანმრთელობისთვის, რომელიც დღეის მონაცემებით ჩატარდა 5 პოლიკლინიკაში და ჯამურად განხორციელდა 1 000-მდე ვიზიტი.

ჩამოყალიბდა და აეწყო პოლიკლინიკებთან საკომუნიკაციო სისტემა, რაც ხელს უწყობს ინფორმაციის მყისიერად გაცვლას.

საკომუნიკაციო სისტემის და აქციების მონიტორინგის მიზნით პროგრამის ჯგუფმა განახორციელა ათობით ვიზიტი სააგენტოს მართვაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებებში.

პროექტის განმავლობაში შეიქმნა ათობით პოსტერი, ლოგოები და სოციალური გვერდების ქავერები, რაც მნიშვნელოვანი დეტალია საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის და ლაკონურად ინფორმაციის მიწოდებისთვის.

#თქვენიჯანმრთელობისათვის კამპანიის ფარგლებში ჩატარდა 5 პოლიკლინიკაში, ჯამურად განხორციელდა 1 000-მდე ვიზიტი.

სოციალურ გვერდებზე განხორციელებულ აქტივობებზე ჯამურმა ჩართულობამ ბოლო 3 თვის განმავლობაში 600 000 გადააჭარბა, ყოველთვიურად მზარდია პოლიკლინიკების სოციალური გვერდების სტატისტიკური მაჩვენებელი (25-30% ზრდა ყოველთვიურად). ასევე, პოზიტიური დინამიკაა ცნობადობის მაჩვენებლის მხრივ საზოგადოებაში.

1.3. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების 2022 წლის ფინანსური შედეგების (მოგება-ზარალის) ანალიზი

2022 წლის31დეკემბრის მდგომარეობითსაქმიანობას წარმართავდა აფხაზეთისავტონომიურირესპუბლიკისმთავრობისმიერდაფუძნებულისამედიცინოპრო ფილის 6ძირითადი საწარმო და 6 ფილიალი.სსიპ „აფხაზეთის ქონების განკარგვისა და საწარმოთამართვის სააგენტო“-სკერძო სამართლის იურიდიული პირებისსაქმიანობისეფექტურობისგანსაზღვრისმიზნით 2022 წლის ეკონომიკური მაჩვენებლები შედარებულ იქნა 2021წლისშესაბამისიპერიოდისმაჩვენებლებთან.

შემოსავლები:

2022 წლის ფაქტიური შემოსავლების საერთო თანხამ *2 949 309ლარი*შეადგინა, რაცგეგმიურ შემოსავლებზე (3 020 200ლარი) 70 891 ლარით (ანუ 2,4 %-ით) ნაკლებია, ხოლო 2021 წლისშესაბამისიპერიოდისფაქტიურშემოსავლებთან (3 242 693 ლარი) შედარებით კი -293 384 ლარით (ანუ 9,1 %-ით) შემცირდა.

დანახარჯები:

საანგარიშო პერიოდში მთლიანმა ფაქტიურმა დანახარჯებმა *2 880 655 ლარი*შეადგინა, ანუ

გეგმით გათვალისწინებულზე (2 862 900 ლარი) 17 755 ლარით მეტია, ხოლო 2021 წლის ფაქტიურ დანახარჯებთან (3 031 679 ლარი) შედარებით 151 024 ლარით შემცირდა.

მოგება:

2022 წელს დაგეგმილი იყო 157 300 ლარის მოგება, ფაქტიურად კი საწარმოების ჯამური მოგების თანხამ *69 453 ლარი* შეადგინა, რაც 87 847 ლარით (ანუ 55,85 %-ით) ნაკლებია დაგეგმილთან შედარებით;2021 წლის შესაბამის პერიოდის ფაქტიურმოგებასთან (211 014 ლარი) შედარებით კი-141 561ლარით შემცირდა.

1.4. სსიპ„პროგრამებისადასერვისებისსააგენტო“

სააგენტოს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენდა აფხაზეთიდან დევნილთა და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები

პირების (შემდგომში, მიზნობრივი ჯგუფი) ეკონომიკური საქმიანობისა და მდგომარეობის განმტკიცება, გაძლიერება და გაუმჯობესება, როგორც მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერისა და თანადაფინანსების გზით, ასევე გარკვეული ეკონომიკური სერვისების მიწოდების მეშვეობით. ამასთან ერთად, აღნიშნული მიზნობრივი ჯგუფის ჩართულობისა და ინტეგტრირების ხელშეწყობა ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ პროცესებში.

საანგარიშო პერიოდში სააგენტოს პროგრამული ბიუჯეტის ფაქტიურმა შესრულება შეადგინა 208 ათასი ლარი, რაც გეგმის 99,5%-ია.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ - მიხედვით სააგენტოში მიღებულ და დამტკიცებულ იქნა 2 პროგრამა და მასში შემავალი 6 ქვეპროგრამა, კერძოდ:

- **„ეკონომიკური სერვისების მიწოდების“ პროგრამა**

გეგმა განსაზღვრულ იქნა 45.440 ათასი ლარის ოდენობით. ხოლო საკასო შესრულება 45.240 ათასი ლარით. რაც გეგმის შესრულების 99.6 %-ია.

მიზანი - დასაქმების/თვითდასაქმების ხელშეწყობა, ძირითადად დევნილთა მიერ პროფესიული საქმიანობის წამოწყებისა და განვითარების მხარდაჭერის გზით. ასევე, მიზნობრივ ჯგუფისათვის სხვადასხვა სახის ეკონომიკური მომსახურეობისა და სერვისების გაწევა და მიწოდება.

პროგრამა მოიცავს 4 ქვეპროგრამას:

- **„დასაქმების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამა;**

გეგმა განსაზღვრულ იქნა 6.700 ათასი ლარის ოდენობით. ხოლო საკასო შესრულება 6.700 ათასი ლარით. რაც გეგმის შესრულების 100%-ია.

მიზანი - მიზნობრივი ჯგუფის დასაქმების/თვითდასაქმების ხელშეწყობას, მათ მიერ ეკონომიკური და პროფესიული საქმიანობის წამოწყებისა და განვითარების პროცესში მხარდაჭერის გაწევის მეშვეობით, შესაბამისი პროფესიულ-ტექნიკური აქტივებისა და პროფესიულ-ტექნიკური უნარ-ჩვევების უზრუნველყოფის გზით, ამ უკანასკნელის დამადასტურებელი დოკუმენტის ან სათანადო რეკომენდაციის არ არსებობის შემთხევაში.

შედეგი - მ.წ. 1 მარტს გამოცხადდა კონკურსი და დაიწყო განაცხადებების მიღება, რომელიც მ.წ. 1 აპრილს დასრულდება. კვლავ დასტურდება მიზნობრივი ჯგუფის დიდი დაინტერესება აღნიშნული ქვეპროგრამის მიმართ, რასაც, ნათლად ადასტურებს შემოსული განაცხადების რაოდენობა. ამჟამად მიმდინარეობს განაცხადების პირველადი მონიტორინგი, ანუ მათი გადარჩევა შემოსული დოკუმენტაციისა და მასალების სრულყოფილობისა და შესაბამისობის პრინციპიდან გამომდინარე. გადარჩეული აპლიკაციები შემდგომში განსახილველად გადაეცემა სააგენტოში არსებულ შეფასების კომისიას, რომელიც ქვეპროგრამის დებულებაში დაფიქსირებული კრიტერიუმებისმიხედვით გამოავლენს გამარჯვებულ ბენეფიციარებს, მინიჭებული ქულების სისტემის საფუძველზე.

- **„ეკონომიკური საქმიანობის მომსახურეობა“**

გეგმა განსაზღვრულ იქნა 13.690 ათასი ლარის ოდენობით. ხოლო საკასო შესრულება 13.490 ათასი ლარით. რაც გეგმის შესრულების 98.5%-ია.

მიზანი - რუხის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის „აფხაზეთის“ აქტიური ჩართულობით, მიზნობრივი ჯგუფისათვის სათანადო ეკონომიკური მომსახურეობის გაწევა და შესაბამისი სერვისების მიწოდება, რაც ხელს შეუწყობს მათ პროდუქტიულ ინტეგრირებას ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ პროცესებში.

შედეგი - საანგარიშო პერიოდში ყველა ზემოთ მითითებული მიმართულებებით საერთო ჯამში 100-დე აფხაზეთიდან დევნილსა და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებ პირს გაეწიათ შესაბამისი და სათანადო კონსულტაციები, მომსახურეობა და სერვისი.

– **„ეკონომიკური მომსახურეობა აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე“**
  გეგმა განსაზღვრულ იქნა 16.800 ათასი ლარის ოდენობით. ხოლო საკასო შესრულება 16,800 ათასი ლარით. რაც გეგმის შესრულების 100%-ია.

  მიზანი - ქვეპროგრამის საბოლოო მიზანია აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაძლიერება და მათი კეთილდღეობის ზრდა.

შედეგი - გამოიკვეთა ვეტპრეპარატების ნუსხა, რომლის შეძენა აუცილებელი იქნება მეორე კვარტალში, რათა შემდგომში ეს ვეტმედიკამენტები ზონების მიხედვით გადანაწილდეს და გადაეცეს 8 ვეტსპეციალისტს, რომლებიც შესაბამის და სათანადო ვეტერინარულ ღონისძიებებს გაატარებენ აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

დამუშავდა ღონისძიებების გეგმა და განხორციელების სქემა, რომლის მიხედვით 11 კოორდინატორი მათზე გადანაწილებული ზონების მიხედვით განახორციელებენ შესაბამის სამუშაოებებს „აზიური ფაროსანას“ წინააღმდეგ ბრძოლის ჭრილში გალის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ძველ ადმინისტრაციულ საზღვრებში.

– **„ინფრასტრუქტურული პროექტების მომზადების მომსახურეობა“**
  გეგმა განსაზღვრულ იქნა 8.250 ათასი ლარის ოდენობით. ხოლო საკასო შესრულება 8.250 ათასი ლარით. რაც გეგმის შესრულების 100%-ია.

  მიზანი - ქვეპროგრამის განხორციელების საბოლოო მიზანს წარმოადგენს მიზნობრივი ჯგუფის საცხობრებელი, სამუშაო, საქველმოქმედო და სოციალურ-ჰუმანიტარული პირობების გაუმჯობესება.

შედეგი - საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ა/რ იძულებულ გადაადგილებულ პირთა სამინისტროსთან სააგენტომ დადო შესაბამისი ხელშეკრულება ინფრასტრუქტურული მომსახურების ჭრილში 4 970 ლარის მოცულობით, რაც გულისხმობს, რომ 2023 წლის განმავლობაში აღნიშნული თანხის ფარგლებში სააგენტო განახორციელებს იმ ობიექტების ინფრასტრუქტურულ მომსახურებას, რომელთა შესახებ წერილობითი მომართვა იქნება ზემოთ ხსენებული სამინისტროს მხრიდან.

- **„ეკონომიკური საქმიანობის მხარდაჭერის“ პროგრამა**

გეგმა განსაზღვრულ იქნა 19.955 ათასი ლარის ოდენობით. ხოლო საკასო შესრულება 19.955 ათასი ლარი, რაც გეგმის შესრულების 100 %-ია

მიზანი - მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერისა და/ან თანადაფინანსების გზით მიზნობრივი ჯგუფის მეწარმეთა ეკონომიკური და სამეწარმეო საქმიანობის, მათ შორის აგრარულ მიმართულებით, ხელშეწყობა და გაძლიერება.

პროგრამა მოიცავს 2 ქვეპროგრამას:

– **„დევნილთა სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობა“**

გეგმა განსაზღვრულ იქნა 6.300 ათასი ლარის ოდენობით. ხოლო საკასო შესრულება 6.300 ათასი ლარით. რაც გეგმის შესრულების 100%-ია.

მიზანი - ქვეპროგრამის არსი და მიზანი მდებარეობს აფხაზეთიდან დევნილთა უკვე არსებული სამეწარმეო საქმიანობის გაძლიერებაში, მათი საქმიანი წინადადებებისა და ბიზნეს-პროექტების მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის გზით (არა უმეტესი 3 მატერიალურ-ტექნიკური აქტივი, საერთო/ჯამური ღირებულებით მაქსიმუმ 7.000 ლარი).
შედეგი - მ.წ. 20 მარტს გამოცხადდა კონკურსი და დაიწყო განაცხადების მიღება, რომელიც მ.წ. 20 აპრილს დასრულდება. კვლავ დასტურდება მიზნობრივი ჯგუფის დიდი დაინტერესება აღნიშნული ქვეპროგრამის მიმართ, რასაც, ადასტურებს განაცხადების შემოსვლის ინტენსიურობა. განაცხადების შემოსვლის პარალერულად მიმდინარეობს მათი პირველადი მონიტორინგი, ანუ მათი გადარჩევა შემოსული დოკუმენტაციისა და მასალების სრულყოფილობისა და შესაბამისობის პრინციპიდან გამომდინარე. გადარჩეული აპლიკაციები შემდგომში განსახილველად გადაეცემა სააგენტოში არსებულ შეფასების კომისიას, რომელიც ქვეპროგრამის დებულებაში დაფიქსირებული კრიტერიუმების მიხედვით გამოავლენს გამარჯვებულ ბენეფიციარებს, მინიჭებული ქულების სისტემის საფუძველზე.

– **„სასოფლო-სამეურნეო და ენდემური კულტურების წარმოების მხარდაჭერა“**

გეგმა განსაზღვრულ იქნა ათასი ლარის ოდენობით. ხოლო საკასო შესრულება 13.655 ათასი ლარით. რაც გეგმის შესრულების 100 %-ია.

მიზანი - მიზნობრივი ჯგუფის მხარდაჭერა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების პროცესში, რომლის შედეგად მოხდება მათი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობისა და შესაბამისად შემოსავლების ზრდა, რამაც, თავის მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს მათ სოციალურ-ეკონომიკურ კეთილდღეობას.

შედეგი - სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი“ სპეციფიკიდან გამომდინარე, აღნიშნული პროგრამის აფხაზეთიდან დევნილი ბენეფიციარების თანადაფინანსების მიზნით, სააგენტომ მ.წ. 9 მარტს გამოაცხადა განაცხადების მიღება, რომელიც მ.წ. 9 აპრილს სრულდება, რომლის შემდგომ განაცხადები განხილულ იქნება სააგენტოს შეფასების კომისიაზე და დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში დამტკიცდება სააგენტოს ხელმძღვანელის მიერ.

საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად დასრულდა 6 მინი სათბურის ინსტალაცია სააგენტოს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე კრწანისის ტერიტორიაზე და მეორე კვარტალში უკვე იგეგმება ბზის, ტუიასა და კიპაროსის თესლებისა და ნერგების დაკალმება.

1.5. აფხაზეთისავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა

საანგარიშოპერიოდშიაფხაზეთისა/რსავაჭროსამრეწველოპალატისსაქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს წარმოადგენდამცირედასაშუალობიზნესისხელშეწყობა, დახმარებაწარმოებულიპროდუქციისპოპულარიზაციასადარეალიზაციაში, ასევეფინანსურიწყაროებისმოზიდვისათვისპროექტებისშედგენაში.

2023 წლის I კვარტალშიგანხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- წინასაახალწლო საგამოფენო ბაზრობაში აფხაზეთიდან დევნილი მეწარმეების მონაწილეობის უზრუნველყოფა, რომლებიც წინასწარი დადგენილი რიგითობით მონაწილეობდნენ „საახალწლო სოფლის“ ბაზრობაზე ორბელიანის მოედანზე, სადაც ადგილობრივ მოსახლეობასა და უცხოელ ტურისტებსშეეძლოთ დაეთვალიერებინათ და შეეძინათაფხაზეთიდან დევნილი მეწარმეების მიერ წარმოდგენილი პროდუქცია;
- პალატამ, სავაჭრო ცენტრ ,,თბილისი მოლთან'' თანამშრომლობით, ჩაატარა აფხაზეთიდან დევნილი მეწარმეების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო აფხაზეთიდან დევნილი 20-მდე მეწარმის მიერ წარმოებული პროდუქცია;
- საგრანტო კონკურსებში მონაწილეობისათვის მომზადდა შვიდი პროექტი. ერთი პროექტი, რომელიც ეხებოდა პროდუქციის ეტიკეტირებისათვის კვლევითი ლაბორატორიული მომსახურებების მიღებას, გაიგზავნა საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის. სხვა პროექტები ითვალისწინებდა დევნილი მეწარმეების საქმიანობისათვის გაძლიერებისათვის საჭირო ხელსაწყოებისა და დანადგარების შეძენას.

აფხაზეთის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატამ მონაწილეობა მიიღო:

- საქართველოსა და სლოვენიის ბიზნეს ფორუმში, რომელიც გაიმართა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით. შედგა ორმხრივი შეხვედრა სლოვენიის სავაჭრო სამრეწველო პალატის წარმომადგენლებთან და განხილულ იქნა შესაძლო სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები;
- საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების კვლევითი ინსტიტუტის (RIITI) პრეზენტაციაზე, რომელსაც საქართველოს მთავრობის, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, არასამთავრობო და კერძო ორგანიზაციების წარმომადგენლები და საერთაშორისო ექსპერტები ესწრებოდნენ.

აფხაზეთის ა/რ სავაჭრო სამრეწველო პალატის პრეზიდენტმა მონაწილეობა მიიღო მნიშვნელოვან ღონისძიებებში. კერძოდ:

- აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრისა და აზიისა და სპარსეთის ყურის ქვეყნების ბიზნეს პალატის პირველ ვიცე-პრეზიდენტს შორის გამართულ შეხვედრაზე, სადაც განხილულ იქნა თანამშრომლობისა და მომავალში ერთობლივი პროექტების განხორციელების შესაძლებლობები;
- აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის ხელმძღვანელობასა და და

პალატის წევრ მეწარმეებთან ერთად დაესწრო საქართველო-არაბთა გაერთიანებული საამიროების ბიზნეს ფორუმს, სადაც წარმოდგენილი იყვნენ არაბთა გაერთიანებული საამიროების მსხვილი კომპანიები და მათი წარმომადგენლობები. აღნიშნულ ღონისძიებაზე მეწარმეებს ჰქონდათ შესაძლებლობა გაემართათ საამიროების წამყვანი და მსხვილი კომპანიების წარმომადგენლებთან ორმხრივ ბიზნეს შეხვედრები მომავალში საქმიანი ურთიერთობებისა და ბიზნეს კავშირების დამყარების მიზნით.

1.6. ა(ა)იპ „საერთაშორისოინიციატივაგანვითარებისადათანადგომისათვის“

(„სინერგია - პროექტების თანადაფინანსება აფხაზეთიდან დევნილი და გამყოფ ხაზს მიღმა მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობისათვის“)

ა(ა)იპ „საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის“ მიერ საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა **პროგრამის „სინერგია - პროექტების თანადაფინანსება აფხაზეთიდან დევნილი და გამყოფ ხაზს მიღმა მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობისათვის“**განხორციელება.

1-ლი კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტი - 1440 ლარი

1-ლი კვარტლის ფაქტიური შესრულება - 1440 ლარი (100%).

საკუთარი სახსრებიდან 1-ლ კვარტალში გაიხარჯა 9126.2 ლარი, აქედან:

- ჩირის საამქროსთვის შესყიდულ იქნა შესაფუთი მასალები - 1176.2 ლარი;
- გადახდილ იქნა ჩირის საამქროს იჯარის წინა წლის კრედიტორული დავალიანება 2250 ლარი;
- დაიფარა იჯარის ხელშეკრულების მოშლის ორი თვის ქირა - 4500 ლარი;
- ჩირის საამქროს მატერიალური აქტივების გადაზიდვის ხარჯი - 1200 ლარი.

დევნილთა ბიზნეს ინიციატივის მხარდაჭერის პროექტი

დამტკიცდა“დევნილთა ბიზნეს ინიციატივის მხარდაჭერის” პროექტი შესაბამისი დებულებით, რაც გულისხმობს პირობიან, ღია კონკურსს, ხილის, ბოსტნეულის ან/და ფოთლოვან-ღეროვანი მასის გაშრობა-დაჩირვა-გადამუშავებას ან/და შეფუთვა-დაფასოვებასთან დაკავშირებულ ბიზნესინიციატივის მატერიალურ-ტექნიკურ და ინტელექტუალურ მხარდაჭერას.დირექტორის 2023 წლის №006 ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა შემოსული განაცხადების შეფასების კომისია შესაბამისი

უფლება-მოვალეობებით;გამოვლინდა პროექტში გამარჯვებული აპლიკანტი - გალიდან დევნილი ინდ. მეწარმე.

მანამდე, საგრანტო პროექტ „ვიტამინოს“ დახურვასთან დაკავშრებით, მეპატრონეს დაუბრუნდა იჯარით აღებული ფართი, და საამქროს ტერიტორიაზე არსებული ორგანიზაციის კუთვნილი ქონება (ტექნიკა-დანადგარები, ავეჯი და სხვ.) დროებით დასაწყობდა მისამართზე : ქ. ზუგდიდი, ერეკლე მეორის ქუჩა N 24, სადაც ინახებოდა “დევნილთა ბიზნეს ინიციატივის მხარდაჭერის” პროექტით გამოცხადებულიკონკურსის გამარჯვებული ბენეფიციარისთვის გადაცემამდე.

სასაჩუქრე ნუგბარის გადაცემა დევნილთათვის

საგრანტო პროექტ „ვიტამინოს“ ფარგლებში

მიმდიანარე წლის პირველ კვარტალში, ა(ა)იპ-მა „საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის“ საგრანტო პროექტ “ვიტამინო”-ს ფარგლებში დამზადებული ჩირეული ნუგბარი, აფხაზეთის მთავრობის სახელით, სასაჩუქრედ გადასცა აფხაზეთიდან დევნილ ოჯახებს, რომლებიც ცხოვრობენ ზუგდიდის, ხობისა და წყალტუბოს კომპატურად ჩასახლებულ დევნილთა საცხოვრებელ სახლებში. სულ დარიგდა: ვაშლის ჩირი - 52,3 კგ; ვაშლის ჩიფსი - 19.2 კგ; ლეღვის ჩირი - 34.4კგ; ქლიავის ჩირი - 55.5 კგ; კივის ჩირი - 41 კგ. პირდაპირი ბენეფიციარების რაოდენობა -204, არაპირდაპირი ბენეფიციარების რ-ბა - 612.

აფხაზეთიდან გადმოსული სტუდენტების თანადაფინანსება პროექტის

„ჩემი სახლის მმართველი - შესაძლებლობები ნდობის მშენებლობისთვის“ ფარგლებში

როგორც თქვენთვის ცნობიალია, პროექტი „ჩემი სახლის მმართველი – შესაძლებლობები ნდობის მშენებლობისთვის“ (რომელსაც აფინანსებს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო) 2023 წლიდან გრძელდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიის მთავრობასთან პარტნიორობით. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ა(ა)იპ „საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის“ აფინანსებს აფხაზეთიდან გადმოყვანილი 6 ახალგაზრდის საცხოვრებელი ქირის გადახდას 4 თვის განმავლობაში, სამეგრელოში, დაბა ჯვარში, სანამ ისინი გაივლიან სანტექნიკის სასწავლო კურსს კოლეჯ ,,ლაკადაში".

გრანტების ძიება

„სინერგია - პროექტების თანადაფინანსება აფხაზეთიდან დევნილი და გამყოფ ხაზს მიღმა მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობისათვის“ პროგრამის ფარგლებში 2023 წლის I კვარტალში მიმდინარეობდა მუშაობა შემდეგ საგრანტო პროექტზე:

საქართველოს და ჩეხეთს შორის სავაჭრო ურთიერთობების ხელშეწყობა ექსპორტის სტიმულირების გზით. დონორს წარმოადგენს ჩეხეთის საელჩოს საგრანტო პროგრამა და

ჩეხეთის განვითარების სააგენტო. ბიუჯეტი განისაზღვრება 1, 202 530 ჩეხური კრონა. განაცხადი გაგზავნილია და მოლოდინის რეჟიმშია.

1.7. სსიპ „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სტაჟირების, კვალიფიკაციის ამაღლების და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი ბიზნესინკუბატორი“

სსიპ ,,ბიზნესინკუბატორის: სარგებლობაში არსებულ ფართებზე,2023 წლის დასაწყისისთვის, 14 მეწარმესთან გაფორმებული იყო 18 ხელშეკრულება (მათ შორის ოთხ მეწარმესთან ორ–ორი). მიმდინარე წლის მარტში, ხელშეკრულების ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით, ერთ ინდმეწარმესთან შეწყდა ხელშეკრულება, გამოცხადდა აუქციონი (შენობა-ნაგებობა) და გამოვლენილ გამარჯვებულზე გაფორმდება საიჯარო ხელშეკრულება.

საანგარიშო პერიოდში ბიზნეს ინკუბატორის მხარდაჭერით (აპლიკანტების, დონორების მოძიება, დახმარება პროექტების მომზადებაში), USAID-ის პროექტის ფარგლებში დაფინანსდა 5 ქართულ–აფხაზური ბიზნეს პროექტი (5 აფხაზი და 5 ქართველი) საერთო თანხით 12633 ლარი. კერძოდ:

- „სამურზაყან–ტურის“ კოტეჯების მშენებლობასი თანამონაწილეობა– 1276,05ლარი;
- დეკორატიული აგურის წარმოება –3900 ლარი;
- სამედიცინო სათვალეების რეალიზაცია აფხაზეთში –3500 ლარი;
- სამხატვრო სალონი –771ლარი;
- საოჯახო ფერმერული მეურნეობისთვის მიწათმოქმედი კულტივატორი–3186 ლარი;

2022 წლის დეკემბერში, სსიპ „ბიზნესინკუბატორ“–ში, როგორც წამყვან ორგანიზაციაში, დასრულდა სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული 4 წლიანი საგრანტო პროექტი, რომლის მიზანი იყო ავტომატური მართვის მექანიზმით აღჭურვილი, ენერგოდამზოგი და უსაფრთხო, მასობრივი მოხმარების ქარძრავის წარმოება. დამზადდა ერთმანეთისაგნ ფლუგერის ვერტიკალური სტაბილიზატორების შეთანწყობით განსხვავებული ქარძრავის ორი საცდელი ნიმუში.

სსიპ „ბიზნესინკუბატორი“–ს სპეციალისტები მუდმივად ახორციელებენ როგორც იჯარით გაცემული ფართების, ასევე სასათბურე კონსტრუქციების მოიჯარეებთან, დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მონიტორინგს.ფართის ორ მოიჯარესთან, რომლებსაც დაუგროვდათ დავალიანება, კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით მიმდინარეობს მუშაობა დავალიანებების ამოღების მიმართულებით.

2023 წლის პირველ კვარტალში, საშტატო განრიგით ორგანიზაციაში მუშაობას აგრძელებს 8 ადამიანი.

სსიპ ბიზნესინკუბატორის 2023 წლის იჯარის შემოსავლებმა (ფართების და სასათბურე კონსტრუქციების იჯარა) შეადგინა 15773 ლარი;

2023 წლის პირველი კვარტლის სახელფასო ფონდმა საშტატო განრიგით შეადგინა -16200 ლარი

სახელმწიფოს ბიუჯეტში,საშემოსავლო გადასახადის სახით გადახდილია– 2192ლარი, საპენსიო ფონდში 180ლარი .

2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯამრთელობისადასოციალურიდაცვისსამინისტრო

2023 წლისI კვარტალში აფხაზეთის მოსახლეობისათვის სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამების მიღმა არსებული სადიაგნოსტიკო-სამკურნალო სერვისის ცალკეული სახეების ხელმისაწვდომობის მიზნით, ბიუჯეტის ფარგლებში, ახორციელებდა სხვადასხვა მიზნობრივ პროგრამებს. სამინისტროს 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტი შეადგენს 1 580 000 ლარს, მათ შორის:

აფხაზეთიდან დევნილთა და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეთა ამბულატორიული დახმარების პროგრამა, (პროგრამული კოდი 05 03) (ბიუჯეტი შეადგენს 690 000ლარს)I კვ დაზუსტებული გეგმა შედგენს 71 567 ლარს, პროგრამა წარმოდგენილია შემდეგი ქვეპროგრამებით:

2023/Iკვ	დაფინანს. ბენეფიციართა რაოდენობა	დაზუსტებული გეგმა	ანაზღაურებული თანხა, ლარი	შესრულება %
	237	71 567	71 160	99

- *კომპიუტერული ტომოგრაფიული გამოკვლევის ქვეპროგრამის*(*პროგრამულიკ*ოდი 05 03 01)

მიმართულია რთულ შემთხვევებში დიაგნოზის ვერიფიცირებისათვის. ითვალისწინებს გამოკვლევას არანაკლებ 128 შრიანი სკანერის მქონე კომპიუტერულ ტომოგრაფზე. პროგრამის ბიუჯეტმა შეადგინა 70 000 ლარი ელექტრონული ტენდერის შედეგად ხელშეკრულება გაფორმდა სს „კ.ერისთავის სახ. ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნულ ცენტრთან“ 59 400 ლარზე და ითვალისწინებს 303 ეპიზოდის კომპიუტერული ტომოგრაფიის, კომპიუტერული ტომოგრაფიის ანგიოგრაფიით და კონტრასტით მომსახურების დაფინანსებას.

2023 წ I კვ	დაფინანს. ბენეფიციართა რაოდენობა	დაზუსტებული გეგმა	ანაზღაურებული თანხა, ლარი	შესრულება %
	46	12 985	12 985	100

- **მაგნიტურ-რეზონანსულიტომოგრაფიულიგამოკვლევებისქვეპროგრამას**სამინისტრო პილოტურ რეჟიმში ახორციელებს თანადაფინანსების გზით. ითვალისწინებს გამოკვლევის ჩატარებას კონტრასტით და კონტრასტის გარეშე, ანგიოგრაფიით და ნარკოზით პაციენტის მიერ შერჩეულ კლინიკაში. ქვეპროგრამის ბიუჯეტია 200 000 ლარი.

2023 წლის I კვარტალში სამინისტროს ინდივიდუალური დახმარების კომისიაზე (სულ ჩატარებულია კომისიის 7 სხდომა) დადებითი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 235 ბენეფიციარზე, დაფინანსებული სამედიცინო მომსახურებების ჯამურმა თანხამ შეადგინა 74 095.8 ლარი.

2023 წლის პირველ კვარტალში შესრულებული სამუშაო წარმოდგენილია 121 ბენეფიციარზე - თანხით 38 017.6 ლარი. ქვეპროგრამის 3 თვის დაზუსტებული გეგმა - 38 368 ლარი შესრულებულია 99%-ით (საკასო ხარჯი 38 017.6 ლარი).

2023 წ I კვ	დაფინანს. ბენეფიციართა რაოდენობა	დაზუსტებული გეგმა	ანაზღაურებული თანხა, ლარი	შესრულება %
	121	38 368	38 017	99

- **ინსტრუმენტული და ენდოსკოპიური გამოკვლევების ქვეპროგრამა**ითვალისწინებს ფინანსურ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას ინსტრუმენტულ და ენდოსკოპიურ გამოკვლევებზე. ქვეპროგრამის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენს 40 000 ლარს.

ქვეპროგრამის განხორციელების მიზნით გამოცხადებული სამივე ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით. გამოცხადებულია მეოთხე ტენდერი. შესაბამისად, მომსახურება ამ ქვეპროგრამით საანგარიშო პერიოდში არ გაწეულა.

- **კლინიკურ-ლაბორატორიულიგამოკვლევებისქვეპროგრამა**ითვალისწინებს კოაგულოგრამის, D დიმერის, C რეაქტიული ცილის, ლიპიდური სპექტრის, ღვიძლის ფუნქციების, გლიკოზირებული ჰემოგლობინის და D ვიტამინის განსაზღვრის დაფინანსებას.

კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევების ქვეპროგრამის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 20 000 ლარს. ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული გახდა შპს „მედკაპიტალი“ და ხელშეკრულება გაფორმდა 9 453 ლარზე.

2023 წ I კვ	დაფინანს. ბენეფიციართა რაოდენობა	დაზუსტებული გეგმა	ანაზღაურებული თანხა, ლარი	შესრულება %
	12-(8ეპიზოდი)	512	512	100

დასავლეთ საქართველოს რეგიონში კომპიუტერული ტომოგრაფიული გამოკვლევების ქვეპროგრამაითვალისწინებს ბენეფიციართა გეოგრაფიული და ფინანსური ხელმიწვდომობას კომპიუტერული კვლევებზე. ქვეპროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 10 000 ლარით და ითვალისწინებს კომპიუტერული ტომოგრაფიული კვლევის დაფინანსებას კონტრასტით და კონტრასტის გარეშე (50 ეპიზოდი), ტენდერის შედეგად გამარჯვებული გახდა სს „ევექსის კლინიკები“, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება 10 000 ლარზე.

2023 წ I კვ	დაფინანს. ბენეფიციართა რაოდენობა	დაზუსტებული გეგმა	ანაზღაურებული თანხა, ლარი	შესრულება %
	3	640	640	100

ბავშვთა და მოზრდილთა სტომატოლოგიური მომსახურების ქვეპროგრამაწარმოდგენილია ორი კომპონენტით. ბავშვთა სტომატოლოგიური მომსახურების კომპონენტი ითვალისწინებს 4-დან 16 წლამდე ასაკის პირების მკურნალობას (თერაპია, ქირურგია), ხოლო მოზრდილთა სტომატოლოგიური მომსახურების კომპონენტი ითვალისწინებს მთლიანი ან ნაწილობრივი (ზედა და/ან ქვედა ყბის) კბილების მოსახსნელი პროთეზით მომსახურებას.

ქვეპროგრამის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენს 40 000 ლარს. ქვეპროგრამის რეალიზაციის მიზნით გამოცხადებული ორი ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით. ამჟამად გამოცხადებულია მესამე ტენდერი.

ქვეპროგრამის განხორციელება დაიწყება მეორე კვარტლიდან. შესაბამისად, მომსახურება ამ ქვეპროგრამით პირველ კვარტალში არ გაწეულა.

მხედველობის ორგანოს სკრინინგული გამოკვლევის ქვეპროგრამა ითვალისწინებს მხედველობის ორგანოთა დაავადებების ადრეულ დიაგნოსტიკას. ქვეპროგრამა წარმოდგენილია ორი კომპონენტით: პირველადი გამოკვლევების კომპონენტი ითვალისწინებს ექიმ-სპეციალისტის კონსულტაციას, მხედველობის სიმახვილის დადგენას, რეფრაქტომეტრიას, ტონომეტრიას და წინა და უკანა საკნების ოფთალმოსკოპიას. დამატებითი გამოკვლევების კომპონენტი მოიცავს რქოვანას ტოპოგრაფიას, კოჰერენტულ ტომოგრაფიას და კომპიუტერულ პერიმეტრიას. ჯამში ორივე კომპონენტის ფარგლებში ქვეპროგრამა ითვალისწინებს 128 ეპიზოდის მომსახურებას.

ქვეპროგრამის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენს 10 000 ლარს. ტენდერის შედეგად გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ავერსის კლინიკა“ და ხელშეკრულება გაფორმდა 8 600 ლარზე.

2023 წლის I კვარტალში სამინისტროს ინდივიდუალური დახმარების კომისიაზე განხილულ იქნა 19 ბენეფიციარის განცხადება. დაფინანსებული სამედიცინო მომსახურებების ჯამურმა თანხამ შეადგინა 1820 ლარი.

2023 წ I კვ	დაფინანს. ბენეფიციართა რაოდენობა	დაზუსტებული გეგმა	ანაზღაურებული თანხა, ლარი	შესრულება %
	9	820	820	100

ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიათა დიაგნოსტიკის ქვეპროგრამაითვალისწინებს დაავადების ადრეული დიაგნოსტიკას, ენდოკრინოლოგის კონსულტაციას, ფარისებრი ჯირკვლის ექოსკოპიურ და ჰორმონალურ კვლევას.

ქვეპროგრამის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენს 20 000 ლარს. ელექტრონული ტენდერის შედეგად გამარჯვებულად გამოცხადდა სს „ევექსის კლინიკები“ და ხელშეკრულება გაფორმდა 14 450 ლარზე. (ეკონომიამ შეადგინა 5550 ლარი). ქვეპროგრამის განხორციელება დაიწყო მარტის თვიდან. შესაბამისად, მომსახურება ამ ქვეპროგრამით საანგარიშო პერიოდში არ გაწეულა.

2023 წლის პირველ კვარტალში კომისიურად დაფინანსებულია 16 ბენეფიციარი, თუმცა კლინიკის მიერ გაწეული მომსახურების ამსახველი დოკუმენტაცია საანგარიშო პერიოდში არ იქნა წარმოდგენილი.

სისხლის მიმოქცევის დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამაითვალისწინებს კარდიოლოგის კონსულტაციას ეკგ გადაღებით, 24 სთ-იანი ეკგ (ჰოლტერი) მონიტორირებას, ექოგრადიოგრაფიას და დატვირთვის სტრეს-ტესტს (ტრედმილი).

ქვეპროგრამის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენს 20 000 ლარს. ელექტრონული ტენდერის შედეგად ხელშეკრულება გაფორმდა შპს „აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის კლინიკასთან“ 15 470 ლარზე.

2023 წლის პირველ კვარტალში კომისიურად დაფინანსებულია 32 ბენეფიციარი, თუმცა კლინიკის მიერ გაწეული მომსახურების ამსახველი დოკუმენტაცია საანგარიშო პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი.

